



## დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №31

2014 წლის 08 ივლისი

ქ. დუშეთი

ა(ა)იპ „დუშეთის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრის“ გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებლისათვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ანსამბლ „ქალილოს“ პოლონეთის რესპუბლიკაში გამგზავრების შესყიდვაზე თანხმობის მიცემის შესახებ

დუშეთის მუნიციპალიტეტის „კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრის ფილიალთან - დუშეთის კულტურის სახლთან არსებული ანსამბლი „ქალილო“ მიწვეულია მ/წლის 21-დან 28 ივლისამდე პოლონეთის რესპუბლიკაში, ქალაქ ბელასტოკში საერთაშორისო ფესტივალ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ანსამბლ „ქალილოს“ წევრების გამგზავრების შესყიდვა უნდა მოხდეს ელექტრონული ტენდერის საშუალებით.

იმის გათვალისწინებით, რომ ტენდერის ჩასატარებლად საჭიროა პროცედურები, რაც გარკვეულ დროსთან არის დაკავშირებული, ხოლო ანსამბლის გამგზავრება უნდა მოხდეს უახლოეს დღეებში, ა(ა)იპ დუშეთის მუნიციპალიტეტის „კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი“-ს გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ითხოვს ნებართვას, რომ ანსამბლის წევრების გამგზავრების შესყიდვა მოახდინოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების და მე-16 მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ,

### გადაწყვიტა:

1. ა(ა)იპ „დუშეთის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი“-ს გენერალურ დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს მიეცეს თანხმობა, რათა ანსამბლ „ქალილოს“ წევრების პოლონეთის რესპუბლიკის ქალაქ ბელასტოკში გამგზავრების შესყიდვა განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

2. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.